

ოჯახი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

DOI: 10.52340/erp.2024.05.37

აბსტრაქტი

სტატიაში წარმოდგენილია ოჯახის როლი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ბავშვის აღზრდასა და განათლებაში.

ოჯახი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - სკოლა - ორი აუცილებელი სფეროა ბავშვის სოციალიზაციისთვის. მათი საგანმანათლებლო ფუნქციები განსხვავებულია, მაგრამ ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისთვის აუცილებელია მათ ერთობლივი მუშაობა. სკოლაში ბავშვი იღებს განათლებას, სწავლობს სხვა ბავშვებთან კომუნიკაციას, მათი ქმედებების კოორდინაციას და სხვა, მაგრამ რამდენად ეფექტურად განხორციელდება ეს ყველაფერი დამოკიდებულია ოჯახსა და სკოლას შორის ურთიერთობაზე.

შეუძლებელია სათანადოდ არ შეაფასო ოჯახის როლის დიდი მნიშვნელობა ბავშვის აღზრდაში. ოჯახი უმთავრეს როლს ასრულებს ბავშვის ცხოვრებაში. მათ განვითარებაზე, საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებაზე, პიროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებაზე და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

მნიშვნელოვანია, რომ ოჯახსა და სკოლას შორის თანამშრომლობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ბავშვის განვითარებასა და უწყვეტობაში, აუცილებელია ვიცოდეთ მასწავლებლებისა და მშობლების მოსაზრებები ერთმანეთის შესახებ. საჭიროა რეკომენდაციების შემუშავება, რათა დაეხმაროს ამ ორ ინსტიტუტს ეფექტურად ურთიერთქმედებაში. ამისთვის ჩვენ უნდა ვიცოდეთ ისტორია, როგორ განვითარდა ეს ურთიერთობები.

სტატიაში აღწერილია მშობლების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური განათლების კვლევით დაფუძნებული პრევენციული ამოცანები, რომლებიც განხორციელდა თელავის

რამდენიმე სკოლაში. ასევე აღწერილია, თუ როგორ უნდა გადაიჭრას ისინი მიზანმიმართულად და სრულყოფილად.

ოჯახსა და სკოლას შორის ურთიერთთანამშრომლობა ბავშვის პიროვნული თვისებების განვითარების გარანტიაა. მიგვაჩნია, რომ ასეთი თანამშრომლობა მნიშვნელოვნად გაზრდის წარმატებულ მოსწავლეთა რაოდენობას, გაზრდის მშობლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ხარისხს, რაც მათ დაეხმარება იმოქმედონ მხოლოდ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე. ეს ყველაფერი დადებითად აისახება სკოლის იმიჯზე.

საკვამპო სიტყვები: ოჯახი, სკოლა, განვითარების ისტორია, კვლევა, პრევენცია, პიროვნება, განვითარება.

ოჯახი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება (შემდეგში „სკოლა“)-ორი აუცილებელი სფეროა ბავშვის სოციალიზაციისთვის. მათი აღზრდელობითი ფუნქციები განსხვავებულია, მაგრამ ბავშვის სრულყოფილად განვითარებისთვის აუცილებელია მათი ერთობლივი მოქმედება. სკოლაში ბავშვი იღებს განათლებას, სწავლობს ურთიერთობას სხვა ბავშვებთან, თავისი მოქმედების კოორდინაციას და სხვა. რამდენად ეფექტურად განხორციელდება ყოველივე, დამოკიდებულია ოჯახის სკოლასთან ურთიერთობაზე.

იმდენად, რამდენადაც ოჯახის და სკოლის ურთიერთთანამშრომლობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის განვითარებაში, აუცილებელია პედაგოგების და მშობლების აზრის ცოდნა ერთმანეთზე. საჭიროა შემუშავდეს რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება ამ ორ ინსტიტუტს ეფექტურ ურთიერთობაში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პედაგოგიკა ზოგადი განათლების პერიოდში, ბავშვის აღზრდაში, სკოლასთან ოჯახის ურთიერთობას გგანიხილავდა, აღიარებდა, მაგრამ არა როგორ აუცილებელს, არამედ ოჯახს უყურებდა როგორც ისეთ ინსტიტუტს, რომელიც წინააღმდეგობაშია მთლიანად საზოგადოებასთან. იმ წლებში შეინიშნებოდა, რომ ოჯახი უნდა შესწავლილიყო, მაგრამ არა როგორც მეკავშირე და დამხმარე ბავშვის აღზრდაში, არამედ, პოგორც ხელისშემშლელი ფაქტორი ბავშვის სწორად აღზრდაში, რომლის წინააღმდეგაც საჭირო იყო ბრძოლა.

40-იანი წლების შემდგომ მე-20 საუკუნეში ოჯახთან ბრძოლა უკვე აღარ იყო ისეთი აქტუალური, მაგრამ სწრაფვა ოჯახი დაემორჩოლებინა სკოლისთვის მაინც შენარჩუნდა. მთავარ მიზნად მაინც რჩებოდა საზოგადოების წევრის აღზრდა. ამიტომ ითვლებოდა საზოგადოებრივი აღზრდა და არა ოჯახური.

თანდათან ეს პოზიცია შერბილდა. უფრო დიდი ცვლილებები ოჯახის და სკოლის ურთიერთთანამშრომლობაში მოხდა 90-იან წლებში. ოჯახის პატივისცემა და აღიარება აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი ხდება.

განვიხილოთ, როგორ ხორციელდება ოჯახის და სკოლის თანამშრომლობა ევროპაში. მათ პედაგოგიკაში ოჯახის და სკოლის ურთიერთთანამშრომლობის პრობლემა საბჭოური პედაგოგიკისგან განსხვავებულია. იქ ყურადღების ცენტრში ბავშვი და მისი ოჯახი დგას.

ასეთი განსხვავება განპირობებულია სახელმწიფო პოლიტიკის განსხვავებულობით.

აშშ-ს ყველა შტატში მუშაობა მიმდინარეობს განსხვავებულად. არსებობს სხვადასხვანაირი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, სახელმწიფო სკოლები, უნივერსიტეტები, კოლეჯები, კერძო საბავშვო ბალები და საბავშვო ცენტრები. სასკოლო აღზრდის კონცეფცია უმეტეს შემთხვევაში ემყარება ჯონ დიუის პრაგმატულ პედაგოგიკას, რაც გულისხმობს ბავშვების დამოუკიდებელ მოქმედებას. დიდი ყურადღება ექცევა სწავლებას, როდესაც ბავშვი თვითონ გეგმავს სამუშაოს, ყურადღებით ასრულებს, მიჰყავს ბოლომდე. ასწავლიან ბავშვებს ლიდერობას.

არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბდა მოზარდი თაობის აღზრდის ორი შტო: ოჯახური და საზოგადოებრივი. თითოეული მათგანი თავისთავად წარმოადგენს აღზრდის სოციალურ ინსტიტუტს და ფლობს მოზარდის პიროვნებად ჩამოყალიბების თავის სპეციფიკურ ფორმებს.

თავიდანვე მიდიოდა კამათი თუ რომელი უფრო მნიშვნელოვანია პიროვნების ჩამოყალიბებისთვის: ოჯახი თუ საზოგადოება (საბავშვო ბაღი, სკოლა, სხვა სააღმზრდელო, საგანმანათლებლო დაწესებულება). ერთნი უპირატესობას ანიჭებდნენ ოჯახს, მეორენი იხრებოდნენ საზოგადოებრივი დაწესებულებებისკენ. ასე მაგალთად, იან ამოს კომენსკიმ დედობრივი სკოლა უწოდა იმ მიმდევრობას და ფასეულობას, რომელსაც იღებს ბავშვი დედის

ხელიდან და მეტყველებიდან. დედის გაკვეთილები მიიღება შედგენილი ცხრილის და დასვენებების, არდადეგების და გამოსასვლელი დღეების დადგენის გარეშე. რაც უფრო მრავალფეროვანი და შემეცნებითი ხდება ბავშვის ცხოვრება, მით უფრო იზრდება დედის (მშობლის) მზრუნველობის სფერო. კომენსკის ბაძავს მეორე დიდი პედაგოგი-ჰუმანისტი ი.გ. პესტალოცი. მისი აზრით ოჯახი ნამდვილი აღზრდის ორგანოა. ის ასწავლის ქმედებით,საქმით, სიტყვა კი მხოლოდ ავსებს და ცხოვრებისეულად მოხსულ მიწაში ჩავარდნილი სიტყვა სრულიად განსხვავებულ შთაბეჭდილებას ახდენს.

თანამედროვე მეცნიერებაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც ძალიან დიდი დანაკარგია ოჯახის გარეშე ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბება. როგორც არ უნდა ეცადოთ შეუძლებელია გამორიცხო ოჯახური აღზრდა ყველაზე კვალიფიციური აღზრდის დროსაც კი.

მოზარდობის ასაკში ხდება ბავშვისთვის მნიშვნელოვანი მეგობრის, ახლობლის რჩევები. 7-8 წლის ასაკში კი მისთვის ყველაზე ავტორიტეტული არის დედა.,,დედამ ასე თქვა“, დედამ ესე დამაბარა“ და ა.შ.

ოჯახური აღზრდა გამოირჩევა ღრმა ემოციურობით და ინტიმურობით.,,გამცილებელი“ ოჯახურ აღზრდაში არის მშობლის სიყვარული ბავშვების მიმართ და საპასუხო გრძნობები (მიჯაჭვულობა, ნდობა, სინაზე) ბავშვებისგან. ოჯახური აღზრდის ეფექტურობა განპირობებულია იმ ოჯახური ემოციური კავშირებით, რომლითაც დაკავშირებულები არიან მისი წევრები და რომელთა საშუალებითაც ბავშვი თავს დაცულად გრძნობს უცნობი გარე სამყაროს მოულოდნელობებისგან. ოჯახში შეუძლია ამოეფაროს დედის სიყვარულს, მოფერებას და დამლიოს შიში, გაიგოს ყველაფერი პაპისგან, რომელიც.,,ყველაზე, ყველაზე ჭკვიანია“. ოჯახური სითბო ბედნიერი ბავშვობის ერთ-ერთი პირობაა.

ოჯახში აღზრდა გამოირჩევა ხანგრძლივი და მუდმივი სააღმზრდელო მოქმედებებით სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა სიტუაციებში დედისგან, მამისგან და ოჯახის სხვა წევრებისგან. აღმზრდელობითი ზემოქმედების ასეთი ქმედება დადებით გავლენას ახდენს ბავშვის ნერვული სისტემის ჩამოყალიბებაზე, რომელიც გამოიმუშავებს საპასუხო ქმედებას გარემო გამლიზიანებლების მიმართ. მიუხედავად იმისა რომ, ეს აღმზრდელობითი მოქმედებები ყოველთვის არ არის პედაგოგიურად გამართული. ბავშვმა იცის რა ელოდება ყოველ ცხოვრებისეულ მომენტში და ემზადება თავდაცვისთვის.მაგ. როდესაც პატარა

ბრუნდება სკოლიდან გათხუნული ქურთუკით სახლში მან იცის დედის არასასურველი რეაქცია ამაზე და წინასწარ ემზადება იმისთვის, როგორ დაამშვიდოს დედა.(„პატიებას ვთხოვ, ვაკოცებ, ჯაგრისს ავიღებ და გავწმენდ ქურთუკს“)

ოჯახი ფლობს ობიექტურ შესაძლებლობებს სიცოცხლის პირველივე წლებში ჩართოს ბავშვი საქმიანობის სხვა და სხვა სახეებში (საყოფაცხოვრებო, შრომით, სამეურნეო, აღრმზრდელობით პროცესში ჩართვას ოჯახის სხვა წევრების მიმართ).

გამოთქმა „ბავშვი ოჯახის სარკეა“, მიუხედავად მისი ბანალურობისა, საკმაოდ ზუსტად გამოხატავს ბავშვის ორიენტაციას იმ სულიერ და მორალური ფასეულობებისკენ, რომლებსაც აღიარებს მისი ოჯახი. ყველა ოჯახს თავისი შეხედულებები გააჩნია სიკეთეზე და ბოროტებაზე, აქვს თავისი პრიორიტეტები და მორალური ფასეულობები: ერთში სათავეში აყენებენ სიკეთეს, გულმოწყალებას, ჰუმანურობას, მეორეში -პირიქით სისასტიკეს. მშობლები ყველანაირად ახალისებენ ისეთ ქმედებას, საქციელს რომელიც შეესაბამება მათ წარმოდგენას რა არის კარგი და რა ცუდი. ასე მაგალითად: ახალგაზრდა მამა ასწავლის თავის შვილს დაუბრუნოს „ხურდა“ თანატოლებთან ნებისმიერი უთანხმოებისას. ამ დროს არ ხდება იმის გათვალისწინება, რომ ჩხუბის, კონფლიქტის მიზეზი ბავშვებს შორის არის არა ბოროტი განზრახვა, არამედ თხოვნის გამოხატვის არცოდნა, მოუხერხებლობა, იმპულსური მოქმედება.

ამგვარად, თანამედროვე მეცნიერება ხაზს უსვამს ოჯახის პრიორიტეტს ბავშვის აღზრდაში, ფორმების და მავალფეროვნების წარმოჩენას ფასეულობების დიაპაზონში, რომელსაც მოზარდი ითვისებს.

ცივილური საზოგადოება ვერ იარსებებს თაობათა ცვლის ანუ შთამომავლობის გაგრძელების გარეშე. ამის ერთადერთი წყარო კი არის ოჯახი.

მრავალსაუკუნოვანმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ოჯახის ზემოქმედების ძალა ხორციელდება მუდმივად, ხანგრძლივად და სხვა და სხვა სიტუაციურ გარემოებებში. სწორედ ეს არის ოჯახის უპირატესობა (დომინანტი) და გენეზისი. კეთილგანწყობილ, უზრუნველყოფილ ოჯახებში გაზრდილ ბავშვებს უფრო ნაკლები პრობლემები ექმნებათ სკოლაში. ჰარმონიული ურთიერთობის დარღვევის შემთხვევაში ბავშვსა და მშობელს

შორის აუცილებლად მოჰყვება სწავლის მოსწრების გაუარესება და ასოციოლოგიური მოქმედება.

იმის გასარკვევად როგორია ოჯახების -მშობლების სოჯახო-სამართლებრივი, ფსიქოლოგიური და სამედიცინო კულტურა სკოლაში ჩვენს მიერ ჩატარდა ინტერვენციული კვლევა მშობლებში. შეირჩა ფოკუსჯგუფი, მათთან გასაუბრების და გამოკითხვის შემდეგ შედგენილი იქნა კითხვარი მშობლებისთვის. ჩატარდა გამოკითხვა. დამუშავდა შედეგები, რამაც ცხადყო, რომ ოჯახების უმრავლესობა მზად არ არის სათანადო გამოწვევებისთვის. საჭიროა მათთან ამ მიმართულებით გეგმაზომიერი მუშაობა. მშობელთა გათვითცნობიერება ბავშვთა ასაკობრივი განვითარების თავისებურებებში.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე გაკეთდა დასკვნა: ოჯახი და სკოლა ბავშვთა სოციალიზაციისთვის ორივე აუცილებელი ინსტიტუტია. მათი სააღმზრდელო ფუნქციები განსხვავებულია, მაგრამ მათი ადაპტირებული მუშაობა აუცილებელია ბავშვის სრულფასოვანი აღზრდა - განვითარებისთვის. მშობელი სასკოლო ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მათი მონაწილეობა უფრო საინტერესოს და აქტიურს ხდის სასწავლო პროცესს სწავლების ყველა საფეხურზე. სამწუხაროდ, მშობლები ნაკლებ ყურადღებას იჩენენ შვილების სასწავლო პროცესის მიმართ. არა იმიტომ, რომ არ სურთ. უბრალოდ, აღარ სცალიათ, რადგან მათი უმრავლესობა, წლებია, საზღვარგარეთიდან არჩენს ოჯახს. აქ მყოფებიც შორიდან უყურებენ სასკოლო ცხოვრებას, სხვადასხვა მიზეზთა გამო.

ყოველივე ამის გათვალისწინებით დაიგეგმა ინტერვენციული ღონისძიებები, რომელიც თანხვედრაშია მსოფლიო პედაგოგიკურ გამოცდილებასთან. მსოფლიო სტატისტიკამ ცხადყო, რომ თანამედროვე ოჯახური აღზრდა არც თუ ისე ეფექტურია, სრულფასოვანია, როგორც უნდა იყოს. ამიტომ ზოგიერთ ქვეყნებში მუშავდება ოჯახის პედაგოგიური კულტურის გაზრდის სპეციალური პროგრამები, მეუღლეების აღზრდა, როგორც მშობლების. მშობელთა ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური განათლება. ამავდროულად ამისთვის არსებობს სხვა უამრავი საშუალებაც (რადიო, ტელევიზია, პოპულარული ლიტერატურა, ინტერნეტი, დღესასწაულები, მშობელთა კრებები და ა.შ.)

ჩვენ სკოლაშიც განხორციელდა საუბრები მშობელთა პედაგოგიზაციისთვის შემდეგ თემებზე:

- ა) ასაკობრივი განვითარების თავისებურებები;

- ბ) ჯანმრთელი ცხოვრების წესი;
- გ) როგორ ვმართოთ ბრაზი;
- დ) კონფლიქტების პრევენცია;
- ე) ჰიგიენის საკითხები;
- ვ) თავისუფალი დროის სწორი დაგეგმვა;
- ზ) ინტერნეტსაშიშროება და ბავშვი;
- თ) ბავშვთა უფლებები, რეფერირების საკითხები.

ამ თემებზე საუბრებს ატარებდნენ სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, კლასისდამრიგებლები, მოწვეული სპეციალისტები და სკოლის ექიმი.

შედეგ კონსულტაციები. რომლებიც ჩატარდა, როგორც ინდივიდუალურად ასევე მშობელთა ქვეჯგუფებთან. ჯგუფებში მუშაობისთვის მოვიწვიეთ სხვადასხვა ჯგუფის მშობლები, რომელთაც ერთნაირი პრობლემები აქვთ, ან პირიქით მიღწევები აქვთ აღზრდაში (ჯიუტი ბავშვები, მკვეთრად გამოხატული ხატვის ან მუსიკის ნიჭის მქონე ბავშვები). კონსულტაციის მიზანია მშობლებმა აითვისონ გარკვეული ცოდნა, უნარები პოზიტიური საკითხების გადაჭრისას.

გაიმართა და კვლავაც დაგეგმილია მშობელთა კონფერენციები. რომლის ძირითადი მიზანი ოჯახური აღზრდის გამოცდილების გაზიარებაა. მშობელი წინასწარ ამზადებს შეტყობინებას. პედაგოგი საჭიროების შემთხვევაში ეხმარება თემის შერჩევაში, მისი გამოსვლის გაფორმებაში. კონფერენციაზე შეიძლება გამოვიდეს სპეციალისტიც. მისი გამოსვლა შეალამაზებს, შეკაზმავს კონფერენციას და გამოიწვევს მსჯელობას ან და შეიძლება დისკუსიასაც.

შევიმუშავეთ მშობლებთან თანამშრომლობის სხვა ფორმებიც - დასასვენებელი საღამოების მოწყობა პედაგოგების, მშობლების ბებია-პაპების და ბავშვების მონაწილეობით. სპორტული ღონისძიებები, შეხვედრები, სპექტაკლების მომზადება, შეკრება, „მოდი გავიცნოთ ერთმანეთი“, „გავახაროთ ერთმანეთი“ და სხვა.

დაგეგმილი გვაქვს სკოლაში „ნდობის ტელეფონის“ დანერგვა, ჩატარება ისეთი ღონისძიების, როგორც არის „კეთილი საქმეების დღე“, კითხვა-პასუხის საღამოები.

ამრიგად სკოლის და ოჯახის თანამშრომლობა, ოჯახის და ბავშვის შესახებ ინფორმაციის მოძიება შეიძლება სხვა და სხვა სახით წარიმართოს. მშობელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლება ოჯახის და სკოლის თანამშრომლობის ერთ-ერთი მიმართულებაა. დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ოჯახის, ბავშვის და სკოლის დაახლოებას, ურთიერთთანამშრომლობას მომავალი თაობის წარმატებულ აღზრდა- განათლებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

[ოჯახისა და სკოლის როლი ბავშვის ცხოვრებაში \(mes.gov.ge\)](http://mes.gov.ge)

[სკოლა და ოჯახი - ახალი განათლება \(akhaliganatleba.ge\)](http://akhaliganatleba.ge)

[Family and School: An important relationship in the educational process - St. Nicholas \(stnicholas.com.br\)](http://stnicholas.com.br)

Nino Vakilishvili

I. Gogebashvili Telavi State University

Zeinabi Kakalashvili

public school N5 of the city of Telavi

Family and general educational institution

Abstract

The article presents the role of the family in a general educational institution, in child rearing and education.

Family and the general educational institution - school - are two necessary spheres for the socialization of the child. Their educational functions are different, but for the full development of the child, it is necessary that they work together. At school, a child receives education, learns to communicate with other children, coordinate their actions, and more, but how effectively all this is implemented depends on the relationship between the family and the school.

It is impossible not to properly assess the great importance of the role of the family in raising a child. Family plays the most important role in a child's life. On their development, establishment of a place in society, formation of personal values, and mental health.

It is important that the cooperation between the family and the school plays an important role in the development and continuity of the child, it is necessary to know the opinions of teachers and parents about each other. Recommendations need to be developed to help these two institutions interact effectively. For this, we need to know the history, how these relations developed.

The article describes some research-based preventive tasks for the psychological-pedagogical education of parents, which were carried out in several schools in Telavi. It is also described how to solve them purposefully and comprehensively.

Mutual cooperation between family and school guarantees the development of the child's personal qualities. We believe that such cooperation will significantly increase the number of successful students, increase the quality of communication between parents and teachers, which will help them act only in the best interest of the child. All this has a positive impact on the image of the school in society and the community.

Keywords: family, school, developmental history, research, prevention, personality, development.